ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 37223634**
თარიღი:**29/12/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ანა უთალიშვილისათვის მოხელის კლასის მინიჭებისა და საკლასო დანამატის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 58^1-ე მუხლის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-10 მუხლისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლისა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. 2021-2022 წლებში ჩატარებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უმცროს სპეციალისტს - ანა უთალიშვილს მიენიჭოს მოხელის მეორე კლასი და მიეცეს საკლასო დანამატი, რომლის განაკვეთი განისაზღვროს მისი თანამდებობრივი სარგოს 2% ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს, ამ ბრძანების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი